ივ. ჯავახიშვილიასახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი

საქართველო მსოფლიოს ფონზე

პროფ. ლ. მაჭავარიანი

თბილისი, თსუ

საქართველო მსოფლიოს ფონზე

სახელმწიფოთა დაჯგუფების ორი სახე არსებობს: **ტიპოლოგიური** (შინაარსობრივი) და **კლასიფიკაციური** (გარეგანი ფორმით). სახელმწიფოთა დაჯგუფების ძირითადი **კრიტერიუმებია**: ტერიტორიის სიდიდე და კონფიგურაცია, მოსახლეობის რაოდენობა, საერთაშორისო სტატუსი, გეოგრაფიული მდებარეობა (გეოპოლიტიკური და სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა), მმართველობის ფორმა, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ფორმა, საგარეო პოლიტიკური კურსი, ეკონომიკური განვითარების დონე და სხვ.

<u>სახელმწიფოთა დაჯგუფება ტერიტორიის სიდიდის მიხედვით</u>.

დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი, რომელიც კონკრეტული სახელმწიფოს სრული და განუყოფელი სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება სახელმწიფოს **ტერიტორიას** წარმოადგენს. სახელმწიფო ტერიტორიად ითვლება მის საზღვრებში მოქცეული ხმელეთი, წყალი და საჰაერო სივრცე.

ტერიტორიის სიდიდე ქვეყნის სიძლიერის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ისტორიულადაც, ომები და კონფლიქტები მსოფლიოში სწორედ მიწის გამო ხდებოდა. რაც უფრო დიდია ქვეყნის ტერიტორია, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია მისი ბუნება, უფრო მეტი შესაძლებლობაა ბუნებრივი რესურსების არსებობისა და სარგებლობისათვის, მეტი საშუალებაა მოსახლეობის განსახლებისა და წარმოების განლაგებისათვის, სავარგულების გამოყენებისთვის და სხვ. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ტერიტორიის სიდიდე ვერ განიხილება ერთადერთ და გადამწყვეტ ფაქტორად ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერისა. შედარებისთვის კარგ მაგალითს წარმოადგენს ერთი მხრივ, მცირე ტერიტორიის მქონე, მაგრამ მაღალგანვითარებული ქვეყნები (მაგ. დას. ევროპის ქვეყნები) და მეორეს მხრივ, დიდი ტერიტორიის მქონე მაგრამ ეკონომიკურად არამდგრადი ქვეყნები (მაგ. აფრიკის, აზიის ზოგიერთი ქვეყანა).

დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება, <u>სახელმწიფოს ტერიტორიას</u> წარმოადგენს. ქვეყნის <u>ტერიტორიას</u> (გარდა მის ფარგლებში მოქცეული ხმელეთის, წყლისა და საჰაერო სივრცისა) მიეკუთვნება ასევე ე.წ. "მფრინავი" და "მცურავი" ტერიტორიები. აქ იგულისხმება საზღვაო თუ საჰაერო ხომალდები, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოს დროშას ატარებენ. მათზე მოქმედებს ე.წ. "დროშის კანონი", ანუ იმ სახელმწიფოს კანონი, რომლის ნიშანსაც ისინი ატარებენ. ამდენად, "მფრინავი" და "მცურავი" ტერიტორიები, როგორც ღია ზღვაში და საჰაერო სივრცეში, ისე ამა თუ ქვეყნის საზღვაო და საჰაერო პორტებში, იმ სახელმწიფოს ტერიტორიად განიხილება, რომლის დროშასაც ისინი ატარებენ.

დედამიწაზე არსებობს სივრცეები, რომლებიც არცერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ არ იმყოფება, ესენია: ღია ზღვა, კოსმოსური სივრცე და ანტარქტიკა.

მსოფლიოში ტერიტორიის სიდიდის მიხედვით გამოიყოფა: გიგანტური, დიდი, საშუალო და მცირე და მიკრო (ე.წ. "ჯუჯა") სახელმწიფოები.

<u>გიგანტურ</u> სახელმწიფოებს მიეკუთვნება:

1. რუსეთი (17 მლნ. კვ. კმ);
2. კანადა (10 მლნ. კვ. კმ);
3. ჩინეთი (9,6 მლნ. კვ. კმ);
4. აშშ (9,4 მლნ. კვ. კმ);
5. ბრაზილია (8,5 მლნ. კვ. კმ);
6. ავსტრალია (7,7 მლნ. კვ. კმ).

<u>მიკრო – "ჯუჯა</u>" სახელმწიფოებს მიეკუთვნება:

ვატიკანი (0,4 კვ.კმ მსოფლიოს ყველაზე პატარა სახელმწიფო); მონაკო (2 კვ.კმ); ნაურუ (20 კვ. კმ); სან-მარინო (60 კვ.კმ); ლიხტენშტეინი (200 კვ. კმ); ანდორა (468 კვ.კმ); ლუქსემბურგი (2590 კვ.კმ), ოკეანეთის კუნძულოვანი სახელმწიფოები და სხვ.

<u>საქართველო</u>, ტერიტორიის ფართობით (69 700 კმ²) მცირე სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნება, რაც დედამიწის ხმელეთის მთლიანი ფართობის 0.05% შეადგენს. მსოფლიოს 193 სუვერენულ სახელმწიფოთა შორის, ტერიტორიის საერთო ფართობით, საქართველო 120–ე ადგილზეა და მსოფლიოს 75-მდე სახელმწიფოს აღემატება. მიკრო სახელმწიფოებთან შედარებით კი, არა მარტო საქართველოს, არამედ თვით ქალაქ თბილისის ფართობიც კი (505 კმ²) ბევრად მეტია უმეტესი ჯუჯა ქვეყნების ტერიტორრიაზე.



მსოფლიოს ქვეყნები ფართობის მიხედვით

სახელმწიფოთა დაჯგუფება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის დიდი დიაპაზონი არსებობს: რვა ასეული მცხოვრებიდან (ვატიკანში), თითქმის მილიარდნახევრამდე (ჩინეთში). 2011 წლისთვის არსებული მონაცემებით, მოსახლეობის განსაკუთრებით მაღალი რაოდენობით გამოირჩევა შემდეგი ქვეყნები:

ჩინეთი (>1.3 მლრდ),
ინდოეთი (1.2 მლრდ),
აშშ (312 მლნ),
ინდონეზია (238 მლნ),
ბრაზილია (193 მლნ),
პაკისტანი (171 მლნ),
ნიგერია (155 მლნ),
ბანგლადეში (142 მლნ),
რუსეთი (142 მლნ),
იაპონია (128 მლნ), და სხვ.



მსოფლიოს მოსახლეობა

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 4.7 მლნ კაცს შეადგენს. საქართველო მოსახლეობის რაოდენობით 115–ე ადგილზეა და ამ მაჩვენებლით მსოფლიოს 80-მდე სუვერენულ სახელმწიფოს აღემატება, მათ შორის ისეთ ქვეყნებსაც, რომელთა ტერიტორიის ფართობი ბევრჯერ მეტია საქართველოზე (თურქმენეთი, ნორვეგია, ფინეთი, ახალი ზელანდია და სხვ.). მაგალითად, გაბონის ტერიტორია თითქმის 4-ჯერ აღემატება საქართველოს ფართობს, მოსახლეობის რაოდენობით კი 5-ჯერ ჩამოუვარდება მას.

რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებას ტერიტორიის ფართობთან, მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა მონაკო (16 ათასს აღემატება ერთ კვადრატულ კილომეტრზე), სადაც მცირე ტერიტორიაზე მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობაა დასახლებული. ყველაზე დაბალი სიმჭიდროვის ქვეყანაა მონღოლეთი (1.7 ად./კმ²). საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 67 ად./კმ², რითაც 99–ე ადგილი უკავია მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის.

<u>სახელმწიფოთა დაჯგუფება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით</u>.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება იყოს: **ცენტრალური**, **პერიფერიული**, **საზღვაო, მეზობლური**. ცენტრალური და საზღვაო გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელად ითვლება, რადგან მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს, განსხვავებით პერიფერიული მდებარეობისაგან.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება შეფასდეს ორგვარად: ***გეოპოლიტიკური*** და ***სატრანსპორტო-გეოგრაფიული*** მდებარეობით.

<u>გეოპოლიტიკურ მდებარეობაში</u> იგულისხმება კონკრეტულ სახელმწიფოსა და მეზობელ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია. ქვეყნისთვის ხელსაყრელ გეოპოლიტიკიურ მდებარეობად ითვლება, როდესაც მას პოლიტიკურად და ეკონომიკურად მძლავრი სახელმწიფოები ესაზღვრებიან (მაგ. დას. ევროპის ქვეყნები). საქართველო ეკონომიკურად განვითარებადი და პოსტსოციალისტური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფება, გარდა თურქეთისა, რომელის ამასთანავე ნატოს წევრი ქვეყანაა.

<u>სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობაც</u> ხშირად ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაზეა დამოკიდებული. ეწალურად, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართ-

ველოს ხელსაყრელ სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობას პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონდა. მაგალითად, კავშირი უახლოეს მეზობელთან (თურქეთთან) იმდროინდელი ცენტრის – მოსკოვის გავლით ხდებოდა. საქართველო, გარდა **ცენტრალური** მდებარეობისა, **საზღვაო** გეოგრაფიული მდებარეობითაც გამოირჩევა, რაც მას მსოფლიო ოკეანეში გასვლის საშუალებას აძლევს. ფაქტობრივად, საქართველოს შავიზღვისპირა მდებარეობა მას აკავშირებს, როგორც შავი და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებთან, ისე ყველა კონტინენტთან. საქართველო საზღვაო გზით ატლანტიკისა და უნდოეთის ოკეანეებს, და შესაბამისად მსოფლიო ოკეანეს, შემდეგი მარშრუტებით უკავშირდება:

- შავი ზღვა → ბოსფორის სრუტე → მარმარილოს ზღვა → დარდანელის სრუტე → ეგეოსის ზღვა → ხმელთაშუა ზღვა → გიბრალტარის სრუტე → ატლანტის ოკეანე;

-შავი ზღვა → ბოსფორის სრუტე → მარმარილოს ზღვა → დარდანელის სრუტე → ეგეოსის ზღვა → ხმელთაშუა ზღვა → სუეცის არხი → წითელი ზღვა → ბაბ-ელ-მანდების სრუტე → ადენის ყურე → ინდოეთის ოკეანე.

ზღვით საქართველო მსოფლიოს შემდეგ ქვეყნებს უკავშირდება:

<u>შავისღვისპირა ქვეყნები</u>: თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი;

<u>ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები</u>: საბერძნეთი, ალბანეთი, მონტენეგრო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, სლოვენია, იტალია, საფრანგეთი, მონაკო, ესპანეთი, მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე, ისრაელი, ლიბანი, სირია, მალტა, კვიპროსი, თურქეთი.

წყლის ტრანსპორტით საქართველო არა მარტო ზღვისპირა ქვეყნებას, არამედ <u>ცენტრალურ ევროპასაც</u> უკავშირდება ე.წ. "ევროპის დედა-მდინარის" – დუნაის გავლით, რომლის სანაპიროზე რამდენიმე ევროპული დედაქალაქიც არის განლაგებული: გერმანია, ავსტრია (ვენა), სლოვაკეთი (ბრატისლავა), უნგრეთი (ბუდაპეშტი), ხორვატია, სერბეთი (ბელგრადი), ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა. მდ. დუნაი შენაკადებით სხვა ევროპულ ქვეყნებსაც უკავშირდება (პოლონეთს, შვეიცარიას, იტალიას და სხვ.)

უნივერსალური დროის კოორდინატების (Coordinated Universal Time) მიხედვით, რომელიც ასევე ცნობილია როგორც გრინვიჩის მერიდიანის დრო (Greenwich Meantime), საქართველო მეოთხე სარტყელშია მოქცეული (UTC+4 ან GMT+4). საქართველოს სასაათო სარტყელში მოქცეულია მსოფლიოს რამდენიმე სახელმწიფო (რუსეთი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, სეიშელის კუნძულები, მავრიკი), ასევე 10–მდე კუნძული და ტერიტორია, 350–ზე მეტი ქალაქი, მათ შორის: აბუ–დაბი, ვიქტორია და რუსეთის მრავალი ქალაქი (როსტოვი დონზე, სარატოვი, ვოლგოგრადი, გროზნი, ნალჩიკი, ნაზრანი, მაიკოპი, ვლადიკავკაზი და მრავალი სხვ.).



მსოფლიო დროის ზონები

<u>სახელმწიფოთა დაჯგუფება საერთაშორისო სტატუსის მიხედვით</u>.

საერთაშორისო სტატუსის მიხედვით განასხვავებენ: სუვერენულ სახელმწიფოებს; პროტექტორატებს; სამეურვეო ტერიტორიებს; კოლონიებს (ყოფილი); დომინიონებს.

სუვერენული სახელმწიფო. სახელმწიფოს სუვერენიტეტი *(ფრანგ. souverainete – უზენაესობა)* გულისხმობს სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებლობას უცხო სახელმწიფოსგან საერთაშორისო ასპარეზზე. ე.ი. სუვერენულია სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებელია საერთაშორისო ურთიერთობებში და ახორციელებს უმაღლეს ხელისეფლებას საკუთარ ტერიტორიაზე, ანუ ქვეყანა, რომელიც თვითონ განაგებს თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამგვარად, სახელმწიფოს სუვერენიტეტი არის პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის ნიშან-თვისება, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის სამართლებრივი გამოხატულება. დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი კი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სევერენიტეტის ქვეშ იმყოფება, <u>სახელმწიფოს ტერიტორიას</u> წარმოადგენს.

პროტექტორატი. პროტექტორატი გულისხმობს ორ ქვეყანას შორის სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე არსებულ ურთიერთობას, როდესაც ერთი (პროტექტორი) მეორის (პტორეტეჟეს) სახელით გამოდის საერთაშორისო ურთიერთობებში და ვალდებულებას იღებს მის ტერიტორიულ მთლიანობისა და უსაფრთხოების დაცვაზე.

სამეურვეო ტერიტორია. სამეურვეო ტერიტორია გაეროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიაა, რაც გულისხმობს მეურვე სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობას სოციალურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, კულტურულ და სხვ. სფეროებში. მათ მიეკუთვნება სამანდატო ტერიტორიები, II მსოფლიო ომის შედეგად დამარცხებული სახელმწიფოებისათვის ჩამორთმეული კოლონიები, მმართველი სახელმწიფოების მიერ ნებაყოფლობით დათმობილი კოლონიური სამფლობელოები. კოლონიალიზმის კრახის შედეგად სამეურვეო ტერიტორიების უმეტესობამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. 90-იან წლებში, წყნარი ოკეანის მცირე კუნძულთა ჯგუფში – მიკრონეზიაში არსებულმა სამეურვეო ტერიტორიებმა (მარშალისა და კაროლინის კ-ები), რომლის მეურვე

სახელმწიფო იყო აშშ, მოპოვეს დამოუკიდებლობა, სადაც 3 სახელმწიფო წარმოიშვა: მარშალის კუნძულები (1991), მიკრონეზია (1991), პალაუ (1994).

კოლონია. კოლონიალიზმი საერთაშორისო სტატუსის ყოფილ ფორმას წარმოადგენს. დეკოლონიზაციის შემდეგ, კოლონიურმა ფორმამ შეწყვიტა თავისი არსებობა. ყოფილი კოლონიები იმყოფებოდნენ უცხო სახელმწიფოს (მეტროპოლიის) გამგებლობის ქვეშ, არ გააჩნდათ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა და იმყოფებოდნენ სპეციალური რეჟიმის საფუძველზე.

დომინიონები. დომინიონებს მიეკუთვნება სრულიად დამოუკიდებული ქვეყნები, რომლებიც ბრიტანეთის თანამეგობრობაში იმყოფებიან, სადაც სახელმწიფოს მეთაურად ბრიტანეთის მონარქი ითვლება (კანადა, ავსტრალიის კავშირი, ახალი ზელანდია).

სოციალისტური სიტემის რღვევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ, 1991 წლიდან აღიდგინა სახელმწიფოებრიობა და სუვერენულ სახელმწიფოთა შორის თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. დღესდღეობით, საქართველო ერთ–ერთია მსოფლიოს 193 სუვერენულ სახელმწიფოთა შორის.

<u>მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკური რუკა</u>.

პოლიტიკური რუკა ისეთი გეოგრაფიული რუკაა, რომელზეც აისახება ტერიტორიის პოლიტიკური დაყოფა (სახელმწიფოთა განლაგება), უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სტრატეგიული ცენტრები და სხვ. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, რომელიც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ყალიბდებობა და განუწყვეტლივ იცვლებოდა, გარკვეულ ცვლილებებს გაინცდის დღესაც, რაც უკავშირდება სახელმწიფოთა დაშლას, ან გაერთიანებას, საზღვრების, ან სახელწოდებების შეცვლას, ყოფილი სამეურვეო ტერიტორიების მიერ სუვერენიტეტის მოპოვებას და სხვ.

ძირეული ცვლილებები მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მოხდა I და II მსოფლიო ომების შედეგად, როდესაც ტერიტორიების გადანაწილება ხდებოდა ძლიერ სახელმწიფოთა შორის და ყალიბდებოდა იმდროინდელი პოლიტიკური რუკები. მნიშვნელოვანი იყო ასევე 90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები, როდესაც მსოფლიოში სოციალისტური სისტემის რღვევა მოხდა, რასაც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობებიც დაერთო ბევრ ქვეყანაში. დღევანდელ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე **193** სუვერენული სახელმწიფოა.

<u>**ევროპა**</u>. ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე **47** სუვერენული ქვეყანაა. მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო სოციალისტური სისტემის რღვევა. განსაკუთრებით ეს შეეხო პოსტსაბჭოურ სივრცეს, მათ შორის საქართველოს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაცვლად 15 სუვერენული სახელმწიფო შეიქმნა, აქედან ევროპის პოლიტიკურ რუკაზე 10 პოსტსაბჭოურმა სახელმწიდომ მოიპოვა (აღიდგინა, დაიბრუნა) თავისი კუთვნილი ადგილი: ბალტიისპირეთის 3 ქვეყანა (***ლიტვა, ლატვია, ესტონეთი***); ***რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა;*** სამხრეთ კავკასიის 3 ქვეყანა (***საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი***). სოციალისტური სისტემის რღვევა შეეხო ***გერმანიასაც*** ხელოვნურად გაყოფილი ორი გერმანია (ფედერა-

ციული და გერმანიის რესპუბლიკების) 1990 წ. 3/X კვლავ გაერთიანდა და დედაქალაქი ისტორიულად ბერლინში დაბრუნდა. 1992 წ. ყოფილი ჩეხოსლოვაკია, პირიქით, გაიყო 1990 წლის ე.წ. "ხავერდოვანი რევოლუციის" შედეგად ***ჩეხეთად*** (*დედაქ.* პრაღა) და ***სლოვაკეთად*** (*დედაქ.* ბრატისლავა).

მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო ყოფილი **იუგოსლავიის**, ე.წ. "დიდი იუგოსლავიის" დაშლა. 1992 წელს მას, თავდაპირველად, 4 რესპუბლიკა გამოეყო: ***მაკედონია*** (*დედაქ.* **სკოპიე**), ***ხორვატია*** (*დედაქ.* **ზაგრები**), ***სლოვენია*** (*დედაქ.* **ლუბლიანა**) და ***ბოსნია-ჰერცეგოვინა*** (*დედაქ.* **სარაევო**). ამის შემდეგ, სერბეთი და ჩერნოგორია (მონტენეგრო) დარჩა ე.წ. "მცირე იუგოსლავიის" ფედერაციის სახით. 2006 წელს ***მონტენეგრომ*** ოფიციალურად, გაეროს აღიარებით, მოიპოვა სუვერენიტეტი. მონტენეგროს დედაქალაქია **ცეტინიე** (ფორმალურად), **პოდგორიცა** (ფაქტობრივად). ამით მცირე იუგოსლავიის ფედერაციის საბოლოო სახე გაქრა ევროპის პოლიტიკური რუკიდან; სერბეთმა საბოლოოდ დაკარგა გასასვლელი ადრიატიკის ზღვაზე.

აზია. აზიის თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე დღეისათვის **44** სუვერენული სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის დაშლა აზიის პოლიტიკურ რუკასაც შეეხო, სადაც 5 პოსტსაბჭოური სახელმწიფო იქნა დატანილი: ***ყაზახეთი*** (*დედაქ.* **ასტანა**), ***უზბეკეთი*** (*დედაქ.* **ტაშკენტი**), ***ყირგიზეთი*** (*დედაქ.* **ბიშკეკი**), ***თურქმენეთი*** (*დედაქ.* **აშხაბადი**), ***ტაჯიკეთი*** (*დედაქ.* **დუშანბე**). ყაზახეთის თავდაპირველი დედაქალაქი იყო **ალმა-ატა** (ალ-მათი), რომელიც შემდგომში (1995 წ.) **აკმოლაში** (ყოფ. ცელინოგრადში) გადაიტანეს; აკმოლას მალე (1997 წ.) **ასტანა** დაერქვა (რაც ყაზახურად დედაქალას ნიშნავს).

1990 წელს გაერთიანდა ორი არაბული სახელმწიფო – ***იემენის*** არაბთა და სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკები (*დედაქ.* **სანა**).

სახელწოდებების შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილებები ***ბირმაშიც*** მოხდა. სამხედრო ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბირმას ***მიანმა*** დაარქვეს, შესაბამისად (დედაქალაქ რანგონს – **იანგონი**), თუმცა ზოგიერთი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაცია და მასმედიის რამდენიმე მსხვილი კომპანია არ აღიარებს ახალ სახელწოდებას და კვლავ აგრძელებენ "ბირმის" გამოყენებას. მიანმაში დედაქალის გადატანაც მოხდა. უმსხვილესი ქალაქი, ყოფილი დედაქალაქი იანგონი (რანგუნი) სანაპიროსთან ახლოს მდებარეობს და ღიაა ზღვიდან პოტენციური შემოტევისთვის, რის გამოც სამხედრო ხუნტამ დედაქალაქი გადაიტანა მთიან რეგიონში, კარგად გამაგრებული სტრატეგიული სამხედრო ცენტრის **პინმანას** მახლობლად. 2006 წ. ბირმის *დედაქალაქად* დასახელდა პინმანას მახლობლად მდებარე ქ. **ნაილიდო** (თარგმნება, როგორც "სამეფო ქვეყანა").

დედაქალაქის გადატანა ***შრი-ლანკაშიც*** მოხდა (**კოლომბოდან** → **შრი-ჯაიავარდენეპურა-კოტეში**), თუმცა კვლავ კოლომბო ინარჩუნებს დედაქალაქის ფაქტობრივ ფუნქციას, სადაც საპრეზიდენტო რეზიდენციაა განთავსებული.

დედაქალაქი გადატანილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდებარე ***მალაიზიაშიც***. 2005 წლიდან **კუალა-ლუმპურის** ნაცვლად სახელმწიფოს ფედერალური *დედაქალაქი*

<u>პუტრაჯაია</u> ხდება, რომელიც სპეციალურადაა აგებული როგორც მალაიზიის ახალი დედაქალაქი. თუმცა, ჯერ-ჯერობით კუალა-ლუმპურს დროებით შენარჩუნებული აქვს დედაქალაქის ფუნქცია.

აზიის პოლიტიკურ რუკაზე 2002 წელს ახალმა სახელმწიფომ ***აღმოსავლეთ ტიმორმა*** (*დედაქ.* **<u>დილი</u>**) დაიკავა თავისი ადგილი. აღმოსავლეთ ტიმორი ინდონეზიის ნაწილი იყო და 2002 წელს მოიპოვა სუვერენიტეტი. ის ერთ-ერთია აზიის ორ ქრისტიანულ (კათოლიკურ) ქვეყანას შორის ფილიპინებთან ერთად.

ტაივანი (*დედაქ.* – **<u>ტაიპეი</u>**) გაეროს წევრი არ არის, ოფიციალურად ჩინეთის პროვინციად არის მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი გააჩნია. თუმცა მისი სუვერენიტეტი de facto და de jure ბევრი სახელმწიფოს მიერაა აღიარებულია.

<u>აფრიკა</u>. აფრიკის დღევანდელ პოლიტიკურ რუკაზე 53 სახელმწიფოა, რომლის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი იყო II მსოფლიოს ომის შემდგომი პერიოდი, განსაკუთრებით 1960 წ. (ე.წ. "აფრიკის წელი"), როდესაც აფრიკის მრავალმა კოლონიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მანამდე კი აფრიკის ტერიტორიის 90% მსხვილ კოლონიურ სახელმწიფოებს ეკავა. უკანასკნელი კოლონიური ტერიტორია მსოფლიოში იყო ნამიბია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ მისი კოლონიური სტატუსის დათმობით დასრულდა კოლონიალიზმი მსოფლიოში.

1993 წელს აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, წითელი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალი სახელმწიფოს ***ერიტრეას*** (*დედაქ.* – **<u>ასმერა</u>**) შექმნა, რომელიც 1962 წ-დან ანექსირებული იყო ეთიოპიის მიერ. 31-წლიანი განმანთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად მოიპოვა დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ, ეთიოპიამ დაკარგა წითელ ზღვაზე გასასვლელი.

აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ტერიტორია ***დასავლეთ საჰარა*** (*დედაქ.* **<u>ელ-აიუნი</u>**) კვლავ მაროკოს მიერაა ოკუპირებული.

უკანასკნელი ცვლილებები აფრიკის პოლიტიკურ რუკაზე ძირითადად სახელწოდებების შეცვლას უკავშირდება. ***ზაირის*** რესპუბლიკამ დაირქვა ***კონგო***. ამდენად, ორი კონგო გახდა აფრიკის დღევანდელ პოლიტიკურ რუკაზე: ***დემოკრატიული რესპუბლიკა კონგო*** (ყოფილი ზაირი, *დედაქ.* – **<u>კინშასა</u>**) და ***რესპუბლიკა კონგო*** (*დედაქ.* – **<u>ბრაზავილი</u>**). გადატანილია დედაქალაქი ***ტანზანიაშიც***, სადაც **<u>დარ-ეს-სალამის</u>** ნაცვლად *დედაქ.* გახდა **<u>დოდომა</u>**.

<u>ავსტრალია-ოკეანეთი</u>. შეიცვალა ავსტრალია-ოკეანეთის პოლიტიკური რუკაც. XX ს-ის 1991 და 1994 წლებში ოკეანეთში, აშშ-ის რამდენიმე სამეურვეო ტერიტორიამ, გაეროს აღიარებით, მოპოვეს სუვერენიტეტი, ესენია: ***მარშალის კ-ბი*** (*დედაქ.* – **<u>მაჯურო</u>**), ***მიკრონეზიის ფედერალური შტატები*** (*დედაქ.* – **<u>პალიკირი</u>**), ***პალაუ*** (*დედაქ.* – **<u>მელეკეოკი</u>**). 2006 წელს პალაუში <u>კორორიდან</u> დედაქალაქი <u>მელეკეოკში</u> გადაიტანეს.

ოკეანეთის კუნძულოვან სახელმწიფო ***ნაურუს*** კვლავ არ გააჩნია *დედაქალაქი*, უდიდეს ქალაქს **<u>იარენი</u>** წარმოადგენს.

<u>ამერიკა</u>. ამერიკის პოლიტიკურ რუკაზე დღეისათვის 35 სუვერენული სახელმწიფოა. ისტორიულად ამერიკის ყველა ქვეყანა ევროპული სახელმწიფოების (ესპანეთი, პორტუგალია, ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია) კოლონიას წარმოადგენდა, რომლებმაც დროთა განმავლობაში (განსაკუთრებით II მსოფლიო ომის შემდეგ, დამოუკიდებლობა მიპოვეს).

დღევანდელ პოლიტიკურ რუკაზე 193 სუვერენული სახელმწიფოა; აქედან 192 გაეროს წევრი ქვეყანა და ***ვატიკანი***, რომელიც გაეროს წევრი არ არის, მაგრამ აღიარებულია მის მიერ და დამკვირვებლის სტატუსით არის გაეროში წარმოდგენილი.

<u>სახელმწიფოთა დაჯგუფება მმართველობის ფორმის მიხედვით</u>.

მმართველობის ფორმაში იგულისხმება ***სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აგებულება, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება.*** მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები იყოფა: **რესპუბლიკებად** და **მონარქიებად**. მსოფლიოში უმრავლესობას რესპუბლიკები წარმოადგენენ.

მონარქია (ბერძნ. "monarchia" – ერთმმართველობა, ერთხელისუფლიანობა) არის მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როდესაც სახელმწიფოს მეთაურია ერთი პიროვნება – მონარქი (მეფე, იმპერაორი, შაჰი, სულთანი, ჰერცოგი, მთავარი და ა.შ.), რომელიც ტახტს, ძირითადად, მემკვიდრეობით იღებს. არჩევითი მონარქიაა ვატიკანსა და მალაიზიაში. ამჟამად მონარქია მსოფლიოს **44** ქვეყანაშია.

თავის მხრივ, მონარქია შეიძლება იყოს **კონსტიტუციური** (შეზღუდული) და **აბსოლუტური** (შეუზღუდავი).

<u>კონსტიტუციურ მონარქიებში</u> არსებობს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი. ***დასავლეთის*** ქვეყნების მონარქიებში (მაგ. დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ესპანეთში და სხვ.) ასევე იაპონიაში, მონარქი სიმბოლურ როლს ასრულებს ქვეყანაში – *"მეფობს, მაგრამ არ მართავს"*. მეფე ფორმალურად ამტკიცებს კანონებს. ხოლო ***აღმოსავლეთის*** კონსტიტუციურ მონარქიებში კი (მაგ. იორდანია, ბაჰრეინი, ქუვეითი, მაროკო, და სხვ.), მიუხედავად საკანონმდებლო ორგანოს გარკვეული ფუნქციისა, მონარქი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში – ნიშნავს მთავრობას და სხვ.

<u>აბსოლუტურ მონარქიებში</u> (საუდის არაბეთი, სვაზილენდი, კატარი, ომანი) მონარქს ეკუთვნის საკანონდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. იგი აბსოლუტური მმართველია საკუთარ ქვეყანაში. აბსოლუტური მონარქიის ერთ-ერთი ფორმაა **თეოკრატიული** მონარქია, სადაც მონარქი, ამავე დროს, უმაღლესი რელიგიური მოღვაწეცაა (ვატიკანი – კათოლიკური ეკლესიის ცენტრი). ვატიკანში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის პაპს, რომელსაც ირჩევს კარდინალთა კოლეგია სიცოცხლის ბოლომდე.

მონარქიული მმართველობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ბრიტანეთის თანამეგობრობაში **დომინიონის** სტატუსით შემავალი ქვეყნები, სადაც სახელმწიფოს

მეთაურად, მიუხედავად მათი დამოუკიდებლობისა, სიმბოლურად ითვლება გაერთიანებული სამეფოს მონარქი (ამჟამად დედოფალი ელისაბედ II), რის გამოც ისინი კონსტიტუციური მონარქიების შემადგენლობაში მოიხსენება.

უკანასკნელ წლებში, გარკვეული ცვლილებები მოხდა ცალკეული სახელმწიფოს მმართველობნის ფორმაში. მაგალითად წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე კუნძულოვან სახელმწიფო სამოაში (უკავია სამოას არქიპელაგის დასავლეთი ნაწილი), უკანასკნელი ბელადის გარდაცვალების შემდეგ (2007 წ.), ქვეყანაში ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა კონსტიტუციურმა მონარქიამ და სამოა საპარლამენტო რესპუბლიკად გამოცხადდა. სახელმწიფოს მეთაურები კი მას შემდეგ, არჩეული იქნებიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ 5 წლის ვადით. თუმცა, ფაქტობრივად, ამ პოსტზე ორი უკანასკნელი თანამმართველი ბელადის მალიეტოა ტანუმაფილი II-ისა და ტუპუა ტამასესე მეაოლეს ოჯახის წევრები აცხადებენ პრეტენზიას. რაც შეეხება აღმოსავლეთ სამოას (ე.წ. "ამერიკული სამოას") – აშშ-ზე დამოკიდებულ ტერიტორიას სამეურვეო ტერიტორიას წარმოადგენს. მისი მოსახლეობა, ეროვნებით ამერიკელებად ითვლებიან, მაგრამ არა მოქალაქეობით.

მსოფლიოს **44 მონარქიული** სახელმწიფოდან:

<u>კონსტიტუციური მონარქიაა</u> სულ **39** ქვეყანაშია (15 დომინიონის ჩათვლით, სადაც სახელმწიფოს მეთაურად ბრიტანეთის მონარქი ითვლება);

<u>აბსოლუტური მონარქია</u> კი მსოფლიოს მხოლოდ **5** სახელმწიფოშია შემორჩენილი: კატარი, ომანი, საუდის არაბეთი, სვაზილენდი, ვატიკანი (თეოკრატიული).

მსოფლიოს მონარქიული სახელმწიფოები

№	კონსტიტუციური მონარქიები		აბსოლუტური მონარქიები
	კონსტიტუციური მონარქია	მათ შორის დომინიონები (თანამეგობრობის წევრი)	
1.	ანდორა	ავსტრალიის კავშირი	ვატიკანი (თეოკრატ.)
2.	არაბთა გაერთ. საამირ.	ანტიგუა და ბარბუდა	კატარი (საამირო)
3.	ბაჰრეინი	ახალი ზელანდია	ომანი (სასულთნო)
4.	ბელგია	ბარბადოსი	საუდის არაბეთი (ისლამური)
5.	ბრუნეი	ბაჰამის კუნძულები	სვაზილენდი (კონსტიტ. ორგანოთი)
6.	ბუტანი	ბელიზი	
7.	დანია	გრენადა	
8.	დიდი ბრიტანეთი	იამაიკა	
9.	ესპანეთი	კანადა	
10.	იაპონია	პაპუა-ახალი გვინეა	
11.	იორდანია	სენტ-ვინსენტი და გრენადინი	
12.	კამბოჯა	სენტ-კიტსი და ნევისი	
13.	ლესოტო	სენტ-ლუსია	
14.	ლიხტენშტეინი	სოლომონის კუნძულები	
15.	ლუქსემბურგი	ტუვალუ	
16.	მალაიზია		

17.	მაროკო		
18.	მონაკო		
19.	ნიდერლანდები		
20.	ნორვეგია		
21.	ტაილანდი		
22.	ტონგა		
23.	ქუვეითი		
24.	შვედეთი		

აღნიშნული მონარქიებიდან:
<u>ევროპაში</u> – **12** (11 კონსტიტუციური და 1 აბსოლუტური თეოკრატიული);
<u>აზიაში</u> – **13** (10 კონსტიტუციური და **3** აბსოლუტური);
<u>აფრიკაში</u> – **3** (2 კონსტიტუციური და 1 აბსოლუტური);
<u>ამერიკაში</u> – **10** (ყველა თანამეგობრობის წევრი);
<u>ავსტრალია-ოკეანეთში</u> – **6** (5 დომინიონი და 1 საკუთარი მონარქით).

№	ევროპა	აზია	ამერიკა	აფრიკა	ავსტრალია–ოკეანეთი
1	ანდორა *(სამთავრო)*	არაბთა გაერთ. საამიროები	ანტიგუა და ბარბუდა*	ლესოტო *(სამეფო)*	ავსტრალიის კავშირი*
2	ბელგია *(სამეფო)*	ბაჰრეინი *(სამეფო)*	ბარბადოსი*	მაროკო *(სამეფო)*	ახალი ზელანდია*
3	დანია *(სამეფო)*	ბრუნეი *(სასულთნო)*	ბაჰამის კუნძულები*	სვაზილენდი *(სამეფო)*	პაპუა-ახალი გვინეა*
4	დიდი ბრიტანეთი *(გაერთ.სამეფო)*	ბუტანი *(სამეფო)*	ბელიზი*		სოლომონის კუნძულები*
5	ესპანეთი *(სამეფო)*	იაპონია *(საიმპერატორო)*	გრენადა*		ტონგა
6	ვატიკანი *(თეოკრატიული)*	იორდანია *(სამეფო)*	იამაიკა*		ტუვალუ*
7	ლიხტენშტეინი *(სამთავრო)*	კამბოჯა *(სამეფო)*	კანადა*		
8	ლუქსემბურგი *(საჰერცოგო)*	კატარი *(საამირო)*	სენტ-ვინსენტი და გრენადინი*		
9	მონაკო *(სამთავრო)*	მალაიზია *(სამეფო)*	სენტ-კიტსი და ნევისი*		
10	ნიდერლანდები *(სამეფო)*	ომანი *(სასულთნო)*	სენტ-ლუსია*		
11	ნორვეგია *(სამეფო)*	საუდის არაბეთი *(სამეფო)*			
12	შვედეთი *(სამეფო)*	ტაილანდი *(სამეფო)*			
13	ანდორა *(სამთავრო)*	ქუვეითი *(საამირო)*			

* თანამეგობრობის წევრი ქვეყნები (დომინიონები), სადაც სახელმწიფოს მეთაურად აღიარებულია ბრიტანეთის მონარქი.

რესპუბლიკა არის მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როდესაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს (პარლამენტი, კონგრესი, სენატი, ქნესეტი, რადა, მეჯლისი და სხვ.) ხელშია, და

სადაც სახელმწიფოს მეთაურად ითვლება პრეზიდენტი. თავის მხრივ, რესპუბლიკა შეიძლება იყოს **საპრეზიდენტო**, **საპარლამენტო** და **შერეული** ფორმის.

<u>საპრეზიდენტო</u> რესპუბლიკების ძირითადი ნიშან-თვისებაა პრეზიდენტის მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფო ორგანოების სისტემაში. იგი ერთდროულად არის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური, ასევე ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი. მთავრობა (აღმასრულებელი ხელისუფლება) იქმნება პარლამენტის გარეშე. მას ქმნის და ცვლის თვით პრეზიდენტი. მთავრობაც, თავის მხრივ, პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე. პარლამენტს არა აქვს უფლება უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადოს მთავრობას. საპრეზიდენტო რესპუბლიკების მაგალითებია: აშშ, მექსიკა, ბრაზილია, კვიპროსი, ინდონეზია, ბელარუსი და სხვ. პრეზიდენტს ირჩევს მოსახლეობა უშუალოდ, ან ხმოსანთა კოლეგიის მეშვეობით (აშშ).

<u>საპარლამენტო</u> რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი) არ არის მთავრობის მეთაურიც და მას მოკრძალებული ადგილი უჭირავს სახელმწიფო ორგანოების სისტემაში. იგი უმთავრესად მთავრობის მითითებით მოქმედებს. მთავრობა იქმნება **საპარლამენტო საწყიდებზე**. პრეზიდენტი ფორმალურად ნიშნავს მთავრობის მეთაურს – პრემიერ-მინისტრს, მაგრამ პრემიერი აუცილებლად უნდა იყოს იმ პარტიის ლიდერი, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს პარლამენტში (საკანონმდებლო ხელისუფლებაში). პრემიერ-მინისტრი პარლამენტთან ერთად ქმნის მთავრობას, და შესაბამისად, მთავრობაც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. მთავრობის პროგრამა უნდა მოიწონის პარლამენტმა. თუმცა პრეზიდენტს შეუძლია უნდნობლობის ვოტუმი გამოუცხადოს მთავრობას. საპარლამენტო რესპუბლიკების მაგალითებია: გერმანია, იტალია, ისრაელი, ავსტრია, ინდოეთი და სხვ.

<u>შერეული</u> რესპუბლიკური მმართველობის ფორმა დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც შერწყმულია საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკური ნიშნები. შერეული ფორმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთი. 1958 წლის კონსტიტუციის მიხედვით, საფრანგეთში არის პრემიერ-მინისტრი (როგორც საპარლამენტო რესპუბლიკებში), რომელსაც **ნიშნავს** პრეზიდენტი. პარლამენტი არ მონაწილეობს მთავრობის შექმნაში და მისი კონტროლიც მასზე სუსტია. სახელმწიფო ორგანოების სისტემაში გადამწყვეტ როლს ასრულებს პრეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ირჩევს მოსახლეობა. ძლიერ საპრეზიდენტო ხელისუფლებისა და მთავრობის შეზღუდული საპარლამენტო პასუხისმგებლობის გამო, საფრანგეთი უფრო საპრეზიდენტო რესპუბლიკისკენ იხრება. ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკებია ასევე პორტუგალია, ფინეთი და სხვ.

მსოფლიოს სახელმწიფოთა მმართველობის ფორმა

(წითელი – მონარქია, ლურჯი – საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ყვითელი – შერეული რესპუბლიკა, ნარინჯისფერი – საპარლამენტო რესპუბლიკა)

დღევანდელ **საქართველოში** შერწყმულია საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბ-ლიკური ნიშნები. საქართველოში პრეზიდენტი ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკებში), მაგრამ არსებობს ასევე პრემიერ-მინისტრის პოსტიც (როგორც საპარლამენტო რესპუბლიკებში). თუმცა მთავრობას ამტკიცებს პარლამენტი, მაგრამ მხოლოდ პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას. პრეზიდენტი არის ასევე უმაღლესი მთავარსარდალიც საქართველოში.

მსოფლიოს სახელმწიფოთა დაჯგუფება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში იგულისხმება სახელმწიფოს აგებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციული პრინციპი, მისი ტერიტორიული მოწყობის ფორმა, ანუ ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს სახელმწიფოს ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და მისი შემადგენელი ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. მსოფლიოში გამოიყოფა ტერიტორიული მოწ-ყობის ორი ფორმა: **უნიტარული** (მარტივი) და **ფედერაციული** (რთული). მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა უნიტარული მოწყობისაა.

<u>უნიტარულ</u>, ანუ მარტივი ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფოებში არსებობს სახელმწიფო სუვერენიტეტრის განმახორციელებელი, მთელი ქვეყნისათვის სართო (ცენტრალური) ორგანოები, ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს კი არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშნები. უნიტარული სახელმწიფოსა-თვის დამახასიათებელია მთლიანობა, სუვერენიტეტის მთელ ტერიტორიაზე გავრცე-ლება, სახელმწიფო მმართველობის ერთიანი სისტემა, მმართველობის ცენტრალი-ზაცია.

<u>ფედერაციულ</u>, ანუ რთული ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფოებში, ქვეყნის ტერიტორია დაყოფილია გარკვეული დამოუკიდებლობის მქონე ერთეულებად (მაგ. შტატები, მიწები, პროვინციები, კანტონები, რესპუბლიკები, ოლქები, ავტონომიური ერთეულები, მხარეები და ა.შ.), რომლებსაც გააჩნიათ ხელისუფლებისა და მმართ-ველობის საკუთარი ორგანოები (პარლამენტი, მთავრობა, კონსტიტუცია), ისინი მოქმედებენ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის ტერიტორიაზე, მაგრამ საბოლოო ჯამში, ემორჩილებიან მთელი ქვენისათვის საერთო, ცენტრალურ, ანუ ფედერალურ ორგანოებს.

ფედერაცია (ლათ. *ფოედერატიო* გაერთიანება, კავშირი) სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ისეთი ფორმაა, სადაც ფედერაციული სახელმწიფოს ცალკეული ერთეული წარმოადგენს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, რომელსაც იურიდიულად გააჩნია გარკვეული პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

უნიტარულისგან განსხვავებით, ფედერაციულ სახელმწიფოებში არსებობს მმართვე-ლობის უმაღლესი ორგანოების ორი სისტემა (ფედერალური და ფედერაციის სუბი-ექტის). ფედერაციულ სახელმწიფოებს, როგორც წესი, აქვთ დედაქალაქი ღერბი, დროშა და სხვ. სახელმწიფოებრივი სიმბოლიკები, საკუთარი მოქალაქეობაც კი. აქვთ უფლება რეგიონული კლანოპნების მიღებისა, წესდებები, კონსტიტუცია და სხვ. ანუ თითქმის ყველაფერი, გარდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა. ფედერაციის სუბიექტს <u>უფლება არა აქვს</u> ფედერაციიდან გამოსვლის და, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი.

ფედერაციის სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დასახელება: შტატი, პროვი-ნცია, რესპუბლიკა, კანტონი, მიწა (ფედერალური მიწა) და სხვ.

ფედერაცია უნდა განვასხვავოთ **კონფედერაციისაგან**, რომელიც არის სუვერენული სახელმწიფოების საერთაშორისო-სამართლებრივი კავშირი (რუსეთ-ბალარუსის ამჟამინდელი კავშირი).

ბევრ ფედერაციაში არსებობს ერთიანი ფედერალური მოქალქეობა და ფედერალური ერთეულების მოქალაქეობაც.

ფედერალიზმის აუცილებელი ნიშანია ფედერალური **პარლამენტის ორპალატიანი** სტრუქტურა. ერთი განიხილება როგორც ერთიანი ფედერალური წარმომადგენლობითი ორგანო (დეპუტატები მთელი ქვეყნიდან აირჩევა); მეორე – ფედერაციის ერთეულების ინტერესების წარმომადგეელი.

არსებობს ფედერაციის ორი ძირითადი სახე: <u>სიმეტრული</u> და <u>ასიმეტრული</u>.

სიმეტრულ ფედერაციაში ფედერალური ერთეულები თანაბარუფლებიანია, ერთნაირი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსით სარგებლობენ (აშშ, ავსტრია, გერმანია, ეთიოპია და სხვ.); ასიმეტრულ ფედერაცია კი განსხვავებული სტატუსის მქონე სუბიექტებისგან შედგება (ავსტრალია, ბრაზილია, ინდოეთი, კანადა, რუსეთი და სხვ.)

<u>ფორმირების თავისებურებების</u> მიხედვით განახვავებენ: **ტერიტორიულ** (ტერიტორიული, გეოგრაფიული ნიშნით დანაწილებული: ააშშ, გერმანია); ნაციონალურ (ნაციონალური ნიშნით: ყოფილი სსრკ, ყოფ. იუგოსლავია, ყოფ. ჩეხოსლოვაკია და სხვ.); შერეულ (ორივე ნიშნით: რუსეთი).

არსებობს ე.წ. **"რბილი ფედერაცია"**, რომლის ფედერალურ ერთეულებს აქვთ გამოყოფილის (სუცესიის) უფლება. მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ფორმალურად ყოფ. სსრკ; რუსეთ-ბელარუსის სავარაუდო სამომავლო კავშირი და სხვ.

თეორიულად შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც კოლონიურ იმპერიას შეუძლია "შენიღბოს" თავისი თავი ძალით მიერთებული პროვინციებისათვის ზოგიერთი ადმინისტრაციული ფუნქციისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოების მინიჭებით, და გამოაცხადოს ისინი ფედერაციის ნაწილად. ფედერალიზმის იმიტაციის მეორე ვარიანტია უნიტარულობის თვითგამოცხადება პრაქტიკულად ყოველგვარი დამოუკიდებლობის მინიჭების გარეშე, მხოლოდ ადმინისტრაციული უფლებამოსილებების დელიგირებით.

მსოფლიოში აბსოლუტურ უმრავლესობას უნიტარული (მარტივი ტერიტორიული მოწყობის) ქვეყნები წარმოადგენენ. დღევანდელ მსოფლიოში **25** ფედერაციული სახელმწიფოა, მათ შორის:

6 – ევროპაში (ავსტრია, ბელგია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, გერმანია, რუსეთი, შვეიცარია);
6 – აზიაში (არაბთა გაერთიანებული საამიროები, ერაყი, ინდოეთი, მალაიზია, ნეპალი, პაკისტანი);

7 – ამერიკაში (არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, კანადა, მექსიკა, სენტ-კიტსი და ნევისი);
4 – აფრიკაში (ეთიოპია, კომორის კუნძულები, ნიგერია, სუდანი);
2 – ავსტრალია-ოკეანეთში (ავსტრალიის კავშირი, მიკრონეზიის ფედერალური შტატები).

საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორია ფაქტობრივად დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად, სამართლებრივად ტეირიტორიული მოწყობის საკითხი გათვალისწინებული არ არის (კონსტიტუციაში არ არის ასახული). ამდენად, საქართველო უნიტარულ სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნება უნდა ჩაითვალოს. თუმცა ქვეყნის ფედერალური მოწყობის საკითხი პროექტის სახით არსებობს.

საქართველოში 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია: 2 ავტონომიური რესპუბლიკა (აჭარის არ და აფხაზეთის არ); 9 მხარე (შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის) და ქ. თბილისი (დედაქალაქი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსითაა წარმოდგენილი).

<u>მსოფლიოს ფედერაციული სახელმწიფოფები</u>:

<u>ევროპა</u>

1. ავსტრია
2. ბელგია
3. ბოსნია-ჰერცეგოვინა
4. გერმანია
5. რუსეთი
6. შვეიცარია

<u>აზია</u>

1. არაბთა გაერთ. საამიროები
2. ინდოეთი
3. მალაიზია
4. პაკისტანი
5. ერაყი
6. ნეპალი

<u>ავსტრალია-ოკეანეთი</u>

1. ავსტრალიის კავშირი
2. მიკრონეზიის ფედერალ. შტატ.
3. პალაუ

<u>ამერიკა</u>

1. არგენტინა
2. აშშ
3. ბრაზილია
4. ვენესუელა
5. კანადა
6. მექსიკა
7. სენტ-კიტსი და ნევისი

<u>აფრიკა</u>

1. ეთიოპია
2. კომორის კუნძულები
3. ნიგერია
4. სუდანი

მსოფლიოს ფედერაციული სახელმწიფოები

<u>სახელმწიფოთა დაჯგუფება ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით</u>.

ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები იყოფა **განვითარებულ** და **განვითარებად** სახელმწიფოებად. უმრავლესობას განვითარებადი ქვეყნები წარმოადგენს.

გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ქვეყნებს მიეკუთვნება: **დიდი შვიდეული** (G-7): აშშ, კანადა, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია; **დასავლეთ ევროპის** ქვეყნები (ბელგია, დანია, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ავსტრია, შვეიცარია, ესპანეთი, პორტუგალია, მონაკო, ლუქსებმურგი, ლიხტენშტეინი და სხვ.); გარდა ამისა: ისრაელი და ჩინეთი (აზიის ქვეყნებიდან); სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (აფრიკული ქვეყნებიდან); ავსტრალიის კავშირი და ახალი ზელანდია (ავსტრალია-ოკეანეთის ქვეყნებიდან).

გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა დ ქვეყნებს შორის 3 ძირითადი კატეგორია გამოიყოფა.

<u>I კატეგორიას მიეკუთვნებიან:</u>

1. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (NIC – New Industrial Countries): სამხრეთ კორეა, სინგაპური, თურქეთი, ბრაზილია, მექსიკა, ინდოეთი, ტაივანი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და სხვ.)

2. ნავთობის მომპოვებელი და ექსპორტიორი, ე.წ. ოპეკის (OPEC – Organisation of Petrolium Exporting Countries) **ქვეყნები:** საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ერაყი, ირანი, ქუვეითი, კატარი, ომანი, ბაჰრეინი; ასევე, ალჟირი, ვენესუელა.

<u>II კატეგორიას მიეკუთვნებიან:</u>

ე.წ. მეორე იარუსის ქვეყნები (ინდონეზია, ფილიპინები, მიანმარი, არგენტინა და სხვ.)

<u>III კატეგორიას მიეკუთვნებიან:</u>

სუსტად განვითარებული ქვეყნები (ავღანეთი, სომალი, სუდანი, ეთიოპია, უგანდა, ბურკინა-ფასო და სხვ.).

მსოფლიოს ქვეყნების დაჯგუფებისათვის, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია ***ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ)*** და ***ერთობლივი შიდა პროდუქტი (ეშპ).*** ხშირად ეს მაჩვენებლები გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც ყველაზე სრულყოფილად ასახავს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ამ მაჩვენებლით, მსოფლიოში გამოიყოფა: *უმდიდრესი* (>10 000 US$), *მდიდარი, საშუალოზე მდიდარი, საშუალო, ღარიბი* და *უღარიბესი* (<500 US$) ქვეყნები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და მსოფლიო ბანკის (WB) მონაცემებით, 2010 წელს საქართველო, ეშპ-ის მაჩვენებლით 109 ე ადგილზეა მსოფლიოში.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2010 წელს შეადგენდა:
- საერთო $ 22.443 მლრდ;
- ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით $ 5 114.

ამდენად, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით 2010 წელს, საქართველო საშუალოზე მაღალ კატეგორიაში აღმოჩნდა, რაც განაპირობა ინფრაქტრუქტურის, ტურიზმის, ნაწილობრივ, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროების გაძლიერებამ. 90-იან წლებში საქართველო უღარიბესი ქვეყნების კატეგორიაში იყო.

რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების ტემპს, საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი 2011 წლისთვის გაიზარდა (**B+**)-დან (**BB-**)-მდე: B+→BB-.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2010 წელს საქართველო პირველ ადგილზე გავიდა ბიზნესის კეთების (Doing Business), ეკონომიკური რეფორმების განვითარების მხრივ.

ერთობლივი შიდა პროდუქტი (GDP)

- **მსოფლიო (62'911'253 მლნ)**
- აშშ ($ 14'526'550 მლნ)
- იაპონია ($ 4'623'398 მლნ)
- გერმანია ($ 2'714'418 მლნ)
- დიდი ბრიტ. ($ 2'140'898 მლნ)
- საფრანგეთი ($ 2'002'582 მლნ)
- იტალია ($ 1'672'302 მლნ)
- ჩინეთი ($ 1'649'329 მლნ)
- ესპანეთი ($ 991'442 მლნ)
- კანადა ($ 979'764 მლნ)
- ინდოეთი ($ 691'876 მლნ)
- სამხრეთ კორეა ($ 679'674 მლნ)
- მექსიკა ($ 676'497 მლნ)
- ავსტრალია ($ 631'256 მლნ)
- ბრაზილია ($ 604'855 მლნ)
- ლუქსემბურგი ($ 69'870)
- ნორვეგია ($ 42'364)

ეშპ 1 სულ მოსახლეზე

- აშშ ($ 41'399)
- ირლანდია ($ 40'610)
- ისლანდია ($ 35'586)
- დანია ($ 34'737)
- კანადა ($ 34'237)
- ავსტრია ($ 33'615)
- შვეიცარია ($ 32'571)
- კატარი ($ 31'397)
- ბელგია ($ 31'244)
- ფინეთი ($ 31'208)
- ავსტრალია ($ 30'897)
- ნიდერლანდები ($ 30'862)
- იაპონია ($ 30'615)
- გერმანია ($ 30'579)
- დიდი ბრიტანეთი ($ 30'470)
- შვედეთი ($ 29'316)
- საფრანგეთი ($ 28'760)



ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე
(საერთაშორისო სავალუტო ფონდი, IMF-2009)



ეშპ 1 სულ მოსახლეზე, გაანგარიშებული მსყიდველობითი უნარის პაროტეტის მიხედვით, აშშ დოლარებში (2005 წლის მდგომარეობით)

* **მაქსიმუმი:** ლუქსემბურგი — 58 600 USD
* **მინიმუმ:** აღმოსავლეთ ტიმორი— 400 USD
* **საშუალო მთელი მსოფლიოთვის** 8 800 USD
* **ჯამი მთელი მსოფლიოსთვის:** 55,5 ტრილიონო USD



მსოფლიოს ქვეყნების სორტირება ეშპ-ის მიხედვით



ადამიანის განვითარების ინდექსი მსოფლიოში



მსოფლიოს რუკა ადამიანის განვითარების ინდექსის კატეგორიების მიხედვით 2011 წელს

ძალიან მაღალი (განვითარებული ქვეყანა)
მაღალი (განვითარებადი ქვეყანა)
საშუალო (განვითარებადი ქვეყანა)
დაბალი (განვითარებადი ქვეყანა)
მონაცემები არ არსებობს

ადამიანის განვითარების ინდექსი (აბი) – Human Development Index (HDI) არის გაერთიანებული სტატისტიკა, რომელიც გამოიყენება ქვეყნების რანჟირებისათვის "ადამიანის განვითარების" დონის მიხედვით და იყოფა "ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი დონის", "ადამიანის განვითარების მაღალი დონის", "ადამიანის განვითარების საშუალო დონის" და "ადამიანის განვითარების დაბალი დონის" ქვეყნებად. ადამიანი განვით რების ინდექსი (აგი) წარმოადგენს სიცოცხლის ხანგრ-ძლივობის, წიგნიერების, განათლების და ცხოვრების დონის შედარებით საზომს მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. ეს არის სტანდარტული საშუალება რომელსაც კეთილდღეობის განზომილების მაჩვენებლია. აბი გამოიყენება იმისათვის, რომ განვასხვავოთ არის თუ არა ქვეყანა განვითარებული, განვით რებადი, ან სუსტად განვითარებული. ასევე გაიზომოს ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენა ცხოვრების დონეზე. გარდა სახელმწიფოებისა, აბი გამოიყენება ასევე ქალაქებისა და სოფლე-ბისთვის ადგილობრივი ორგანიზაციებისა და კომპანიების მიერ.

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი ინტეგრალური მაჩვენებელია, რომე-ლიც ყოველწლიურად იანგარიშება ქვეყნებს შორის შედარებისათვის და ცხოვრე-ბის დონის, წერა-კითხვის ცოდნის, განათლების და სიცოცხლის ხანგრძლივობის გასაზომად, როგორც ძირითადი მახასიათებლებისა ადამიანური პოტენციალისა. ის წარმოადგენს სტანდარტულ ინსტრუმენტს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ცხოვ-რების დონის საერთო შედარებისათვის. ინდექსი ქვეყნდება გაეროს განვითარების პროგრამის ჩარჩოებში 1990 წლიდან ადამიანის განვითარების პოტენციალის ყოველ-წლიურ ანგარიშებში.

ადამიანის განვითარების პოტენციალის ინდექსის გაანგარიშებისას ხდება სამი მაჩვენებლის გათვალისწინება:

- მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა ფასდება ხანდაზმულობა;
- ქვეყნის მოსახლეობის წერა-კითხვის ცოდნის დონე (წლების საშუალო რაოდე-ნობა, რომელიც იხარჯება სწავლაზე) და სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;

- ცხოვრების დონე, რომელიც ფასდება ერთობლივი ეროვნული პროდუქტით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით აშშ დოლარებში.

შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებულია მაჩვენებლების განზოგადებული სისტემა, რომელიც აფასებს სოციალური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებს, როგორიცაა: ჯანმრთელობის (ხანდაზმულობის) ინდექსის დიფერენციაციის კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს თუ რამდენად უკეთესია ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთ ქვეყანაში, ან რეგიონში, ვიდრე მეორეში; განათლების ინდექსის დიფერენციაციის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად აღემატება ერთ ქვეყანაში, ან რეგიონში მოსახლეობის განათლების დონე მეორე ქვეყნის (რეგიონის) განათლების (წერა-კითხვის ცოდნის) დონეს; შემოსავლის ინდექსის დიფერენციაციის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების (რეგიონების) ეკონომიკურ დიფერენციაციას; სიკვდილიანობის ინდექსის დიფერენციაციის კოეფიციენტი, როგორც მაჩვენებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვაობისა შესადარებელ ქვეყენებსა და რეგიონებში; პროფესიონალური განათლების დონის დიფერენციაციის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს სხვაობას თუ რა ხარისხითაა მოცული სწავლის განათლების მეორე და მესამე საფეხურები შესადარებელ ქვეყნაბესა და რეგიონებში.

<u>სახელმწიფოთა დაჯგუფება საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსისა და საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით</u>.

საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით მსოფლიოში განასხვავებენ **ნეიტრალურ** და **ბლოკურ** სახელმწიფოებს.

ნეიტრალურ სახელმწიფოებს მიეკუთვნება ე.წ. ნეიტრალური პოლიტიკის გამტარებელი, განსაკუთრებული საერთაშირისო სამართლებრივი სტატუსის მქონე ქვეყნები, როგორიცაა (შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, მალტა.

საერთაშორისო სამართალში ნეიტრალიტეტის ორი სახე არსებობს. განარჩევენ **ევენტუალურ** და **მუდმივ** ნეიტრალიტეტს. <u>ევენტუალური ნეიტრალიტეტი</u> ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ომში ნეიტრალური პოზიციის დაკავებას (შვედეთი). <u>მუდმივი ნეიტრალიტეტი</u> კი გულისხმობს როგორც საომარ კონფლიქტებში მონაწილეობაზე უარის თქმას, ისე ყოველგვარ სამხედრო ბლოკებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობაზე უარის თქმას, ასევე სხვა ქვეყნის ჯარებისა და სამხედრო რაზმების საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგების აკრძალვას (შვეიცარია, ავსტრია).

ბლოკურ სახელმწიფოებს წარმოადგენენ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში (მაგ. ნატო) ან დაჯგუფებებში გაერთინებული ქვეყნები.

ნატო (NATO – North Atlantic Treaty Organisation)

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია – სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ნატო (NATO – North Atlantic Treaty Organisation) შექმნილია ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილია **1949** წლის 4 აპრილს ვაშინგტონში 12 სახელმწიფოს მიერ: აშშ, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი. ნატოს პირველი გაფართოვება მოხდა **1952** წელს ორი სახელმწიფოს (საბერძნეთი, თურქეთი) გაწევრიანებით; **1955** წელს ნატოს გერმანია შეემატა; **1982** წელს ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკს ესპანეთი შეუერთდა. შემდგომში **1999** წელს ნატოში გაწევრიანდნენ პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი; **2004** წელს კი ნატოს წევრი ხდება აღმოსავლეთ ევროპის კიდევ რამდენიმე (მათ შორის პოსტსაბჭოური) ქვეყანა: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია. **2009** წელს ნატო-ში ალბანეთი და ხორვატია გაწევრიანდა.

ამ დროისათვის ნატოში ჩრდილო ამერიკისა და ევროპის **28** ქვეყანაა გაერთიანებული.

ნატოს **შტაბ-ბინა** იმყოფება ქ. ბრიუსელში (ბელგია).

ნატოს **ბირთვს** წარმოადგენენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია.

ნატოს სამუშაო **ოფიციალური ენებია** ინგლისური და ფრანგული.

ნატოში **ინტეგრაციისკენ** მიისწრაფიან: მაკედონია, სერბეთი, საქართველო, უკრაინა. ამისათვის ქვეყანა რამდენიმე ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს და გავლილი უნდა ჰქონდეს IPAP და MAP გარკვეული ეტაპები. ნატოსთან ინდივიდუალური პარტ-ნიორობის სამოქმედო გეგმა IPAP (Individual Partnership Action Plan) საქართველოს გავლილი აქვს, რაც შეეხება გაწევრიანების სამოქმედო გეგმას – MAP (Memebership Action Plan) საქართველო მოლოდინში იმყოფება.

NATO (North Atlantic Treaty Organization) **ნატო**

გარევვ-რიანების წელი	**ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო**	**წევრთა რაოდენობა**	**საერთო რაოდე-ნობა**
1949	აშშ, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი	12	12
1952	საბერძნეთი, თურქეთი	2	14
1955	გერმანია	1	15
1982	ესპანეთი	1	16
1999	პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი	3	19
2004	ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია	7	26
2009	ალბანეთი, ხორვატია	2	28

ევროკავშირი (EU)

მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალურ ინტერნაციონალურ თანამეგობრობას წარმოადგენს ევროპული ქვეყნების კავშირი – ევროკავშირი (**EU – European Union**). ევროკავშირი არაა საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორც ასეთი, ანუ არ წამოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტს, თუმცა გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლებამოსილება. თავდაპირველად ორგანიზაციული საფუძველი ევროკავშირს ევროპულმა ეკონომიკურმა გაერთიანებამ ჩაუყარა. 1957 წელს კი, დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის (ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი) გაერთიანებით, ევროკავშირის სახით ჩამოყალიბდა. შემდგომში რამდენჯერმე მოხდა კავშირის გაფართოვება: 1973, 1981, 1986, 1995, 2004 და 2007 წლებში (ცხრილი). ბოლო ორი გაწევრიანებისას ევროკავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შეიერთა, რაც ითვალისწინებდა დასავლეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მჭიდრო შეკავშირებას, რათა არ დაეშვათ მათი ხელახალი გადახრა კომუნისტური მმართველობის მეთოდებისკენ. ევროკავშირის წევრი გახდა კვიპროსიც (საბერძნეთის მოთხოვნით). ამჟამად, 2007 წლისთვის, ევროკავშირი 27 ევროპულ სახელმწიფოს აერთიანებს (ხელშეკრულება ევროპული კავშირის შესახებ).

ევროკავშირის (EU) წევრი ქვეყნები

წელი	სახელმწიფო	გაწევრიანებულ სახელმწიფოთა რაოდენობა	ევროკავშირის წევრთა საერთო რაოდენობა
1957	ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი	6	6
1973	ირლანდია, დანია, დიდი ბრიტანეთი	3	9
1981	საბერძნეთი	1	10
1986	პორტუგალია, ესპანეთი	2	12
1995	ავსტრია, ფინეთი, შვედეთი	3	15
2004	კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი	10	25
2007	ბულგარეთი, რუმინეთი	2	27

ევროკავშირის გარკვეულ ქვეყნებში შემოღებულია ერთიანი ევროპული ვალუტა – ევრო (€). ევროზონა ეტაპობრივად ფართოვდებოდა, მათ შორის 2008 წელს, როდესაც კვიპროსში, მალტასა და სლოვაკეთიც ევრო იქნა შემოღებული; 2011 წლიდან კი ესტონეთი ევროზონაში გაერთიანდა. ამჟამად ევრო მიმოქცევაშუა ევროპის 22 სახელმწიფოში, მათ შორის ევროკავშირის 17 (ავსტრია, ბელგია, გერმანია, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი) ფულად ერთეულად გამოიყენება ერთიანი ევროპული ვალუტა – ევრო. ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებში, ამ დროისთვის, საკუთარი ეროვნული ვალუტა გამოიყენება (ცხრ. 2). თუმცა ევროზონაში მოქცეულია რამდენიმე არა ევროკავშირის წევრი ქვეყანაც. ანუ ევრო, როგორც ეროვნული ვალუტა, ოფიციალურად (de jure) გამოიყენება ზოგიერთ ისეთ ქვეყანაშიც, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი: ანდორა, ვატიკანი, მონაკო, სან-მარინო. ზოგი ქვეყანა კი (მონტენეგრო) ფაქტობრივი (de facto), ევროზონის არაოფიციალური წევრია, სადაც ფულად ერთეულად ევრო ცალმხრივადაა მიღებული.

ცხრილი 2

ევროკავშირის (EU) წევრი სახელმწიფოების ფულადი იერთეულები და ევროზონაში მოქცეული სახელმწიფოები

ევროკავშირის წევრი ქვეყნები	ფულადი ერთეული	ევროკავშირის წევრი ქვეყნები	ფულადი ერთეული
1. ავსტრია	€	1. ბულგარეთი	ლევი
2. ბელგია	€	2. დანია	კრონა დანიური
3. გერმანია	€	3. დიდი ბრიტანეთი	ფუნტი სტერლინგი
4. ესპანეთი	€	4. ლატვია	ლატი
5. ესტონეთი (2011-დან)	€	5. ლიტვა	ლიტი
6. ირლანდია	€	6. პოლონეთი	ზლოტი
7. იტალია	€	7. რუმინეთი	ლეი
8. კვიპროსი (2008-დან)	€	8. უნგრეთი	ფორონტი
9. ლუქსემბურგი	€	9. ჩეხეთი	კრონა
10. მალტა (2008-დან)	€	10. შედეთი	კრონა
11. ნიდერლანდები	€		
12. პორტუგალია	€		
13. საბერძნეთი	€		
14. საფრანგეთი	€		
15. სლოვაკეთი (2008-დან)	€		
16. სლოვენია	€		
17. ფინეთი	€		
ევროზონის წევრი ქვეყნები			
18. ანდორა	€		
19. ვატიკანი	€		
20. მონაკო	€		
21. მონტენეგრო	€		

22. სან-მარინო	€		

სამომავლოდ იგეგმება ევროკავშირის სტატუსის დადგენა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა.

ევროკავშირის **შტაბ-ბინა** იმყოფება ქ. ბრიუსელში (ბელგია). პოლიტიკური ცენტ-რები: ბრიუსელი, ლუქსემბურგი, სტრასბურგი.

ევროპის ცენტრალური ბანკი ფრანკფურტში,
რომელიც მართავს ევრიზონის სავალუტო პოკიტიკას


1973
1981
1986
1990
1995
2004





ევროპის წევრობა ევროკავშირსა და ნატოში (2009)

EU წევრი მხოლოდ
NATO წევრი მხოლოდ
ორივეს წევრი



ნატოს მიმდინარე წევრიანობა ევროპაში



ქვეყნები, რომლებიც იყენებს ევროს de jure
ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებიც იყენებს ევროს de facto
ქვეყნები, რომლებიც მიიღებენ ევროს 2011

საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციები.

საქართველო მრავალი **პოლიტიკური** და **ეკონომიკური** საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციებია: გაერო (**UNO**), ევროსაბჭო (COUNCIL OF EUROPE – შტაბ-ბინა სტრასბურგში); შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია ბისეკი (**BSEC**), მსოფლიო ბანკი (WB), რომელიც ორი ორგანიზაციისგან შედგება – რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IAD), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია (WTO – შტაბ-ბინა ჟენევაში) და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გეოგრაფიული კოორდინატები: 41°43′N 44°47′E
ტერიტორიის ფართობი – 69 700 კვ. კმ.
მოსახლეობა – 121-ე მსოფლიოში (**4 436 400**)
მოსახლეობის სიმჭიდროვე – 142-ე მსოფლიოში **65,1 კ/კვ.კმ**
მმართველობის ფორმა რესპუბლიკა (შერეული – ნახევრადსაპრეზიდენტო)
ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული (**de jure**)
ეეპ – 122-ე მსოფლიოში **$ 11 234 000 000** (2010)
ეეპ 1 სულ მოსახლეზე – 122-ე მსოფლიოში (**$ 5 058**)
აგი (2007) ▲0.778 (საშუალო) (89-ე)



საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს დამყარებული პოლიტიკური (დიპლომატიური) ურთიერთობა.

საქართველოში არაერთი ქვეყნის საელჩო ფუნქციონირებს: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ვატიკანი, ჩინეთი, ისრაელი, თურქეთი, ირანი, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი; თბილისშია ევროკავშირის (EU) წარმომადგენლობა, ეუთო-ს (OSCE) მისია და სხვ. გარდა ამისა მრავალ ქვეყანას შეთავსებით ჰყავს ელჩი საქართველოში, საელჩო კი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს. თავის მხრივ, საქართველოს მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში აქვს გახსნილი საელჩო (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ირანი, საბერძნეთი, ისრაელი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, სომხეთი და სხვ.). საქართველოს ზოგიერთი ელჩი რამდენიმე ქვეყანაში შეთავსებით ასრულებს მოვალეობას (მაგ. აშშ, კანადა და მექსიკა; საფრანგეთი, ესპანეთი და იუნესკოს წარმომადგენლობა და სხვ.).